# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| აგზავნით ტფილისში ა გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| რთის წლისა — | 7 მან. | — 6 |
| ახევრის წლისა — | 4 — | — 3 — 50 კ. |
| ამს თვისა — | 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისს „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-º.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და ქამპ. სტამბაში.

№ 34. სამშაბათი. I. 22 ოკტომბერი 1868 წ.


## განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასა-
ართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუ-
ვანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი,
ალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ
მან, საცა რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის
ფასი ხომ ყველამ იცის, ექვსი მანეთია.

**შინაარსი:**

მოძღვრება: — ბაკურიძე და იმისი კაცი პეტრი-
ლა. — რამდენიმე სიტყვა ახალ-შკოლებზე; კორეს-
ონდენცია ახალციხიდგან. — საოჯახო ცნობები. -
არიჟის საქვეყნო გამოფენა.

## მოძღვრება

(თქმული რაჭის უეზდის სოფელსა Cახს ეკლესიის კურთხევაზედ).

**ძმანო მმართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!**

მოგილოცავ კურთხევასა ახლისა ამის თქ-
ვენი შრომით და წარსაგებელით აშენებულის
ეკკლესიისა! ვსთხოვ ღმერთსა, რომ ახალმან
ამან ეკკლესიამან განახლოს სულიერიცა თქ-
ვენი ცხოვრება, მოგცესთ განათლება, მოგიმა-
ტოს მადლი და ნუგეში ზეციერისა მამისა. უე-
ჭველი არის, რომ კიდეც ესრეედ მოხდება, თუ
თქვენი მხრიდგანაც არ დააკლებთ მეცადინე-
ობასა და გონიერად ისარგებლებთ ახლისა
ამის ეკკლესიისაგან და არა ისრე, როგორც აქამომდე სარგებლობდით. სამწუხაროდ არა თუ თქვენ, არამედ თითქმის ყოველგან ჩვენ ქვეყანაში ეკკლესიას ისე ვერ ხმარობენ, როგორც ჯერარს, ამისთვის სულიერიცა სარგებლობა მცირედი აქვთ ქრისტიანეთა ეკკლესიისაგან. თქვენ კიდევ სხვათა უმეტესად იყავით მოკლებული ეკკლესიის მადლისაგან: უწინდელი თქვენი ეკკლესია იყო ერთობ ვიწრო, შორს და მაღალ გორაზე აშენებული; ვერც მოხუცებულნი, ვერც ყმაწვილნი, ვერც დედაკაცნი ადვილად ვერ დადიოდნენ ძველ საყდარში: ავ ტაროსში და სიცივეში სულ ვერავინ მიდიოდა. ამისთვის იმ ეკკლესიასა თითქმის არაფერი მნიშვნელობა არ ქონდა თქვენთვის. თქვენ თვითონ ხედავდით და გრძნობდით ამას და დიდი ხანია გსურდათ აშენება ახლისა ეკკლესიისა მარჯვე დასამხრის ადგილზედ და, აჰა, ესერა, შეწევნითა ღვთისათა, დღეს აღსრულდა თქვენი სურვილი. ეს ახალი ეკკლესია არის მახლობლად თქვენდა; ის არის საკმაოდ ვრცელი, მაშა სადამე ყოველ კაცს შეუძლია მოვიდეს და მოისმინოს წირვა-ლოცვა.

ბარნა, როგორც წინეთ ვსთქვით, თუ კაცმა არ იცის ჯეროვნად მოხმარება და სარგებლობა ეკკლესიისა, სიარული ეკკლესიაში და წირვა-ლოცვის მოსმენა მისთვის დარჩება უსარგებლო. ვინც ეკკლესიაში მოვა და წირვა-ლოცვას ისმენს დაფანტულითა გონებითა, ეკკლესიიდგან რომ გავა, არაფერი მადლი არ გაჰყვება; ზოგიერთნი საცოდავნი, უსწავლელნი კაცნი ისრე ფიქრობენ, რომ ოღონდ წირვას დაესწროს, ორიოდენ პირჯვარი დაიწეროს, მეტი არასფერი საჭირო არ არისო. რას კითხულობენ ეკკლესიაში და რას გალობენ? რა დარიგება, რა აზრები იყო წაკითხულ სახარებასა და სამოციქულოში, რას ნიშნავს და რას მოასწავებს სხვა და სხვა მოქმედება ეკკლესიასა შინა? ამას არვინ არ კითხულობს. მაგალითად ვსთქვათ შენ ხედავ საყდარში მრავალს ანთებულს სანთლებს ხატთა წინაშე, და თითონაც მიიტან და აანთებ სანთელსა; რას ნიშნავს ეს და რას მოასწავებს? იქმნება ამაზე არც კი გიფიქრნია შენ. ახლა მაინც შეიტყვე: ანთებული წმინდა სანთელი შენ გასწავლის იმას, რომ თვით შენი გულიც და სულიც უნდა იყოს აღნთებული, ღვთის წინაშე ლოცვითა, ერთგულებითა და სიყვარულითა. ეკკლესიაში შენ ხშირად პირჯვარს იწერ: გიფიქრია და იცი, რას ნიშნავს პირჯვარის წერა? სამი თითი ერთად რომლითაც პირჯვარს იწერ, ნიშნავს წმინდა სამებასა; ორი მათგანი — იესო ქრისტეს ორსა ბუნებასა, ესე იგი კაცის და ღვთაების ბუნებასა, პირველად შუბლზე დაისხამ თითებს, რათა განიწმინდოს შენი ჰაზრი, მერმე გულზე, რათა განიწმინდოს გული, და მერმე მხრებზე, რათა განძლიერდე ქრისტეს სჯულში; ჯვარის სახეს მისთვის გამოხატავ, რათა დაგიფაროს და დაგიცვას ჯვარცმულმა ქრისტე იესომ. ღვდელი, ანუ დიაკონი ხშირად აიღებენ საყდარში საცეცხლურსა, უკმევენ ტრაპეზსა, საკურთხეველსა, ხატებსა და ერსა. რას ნიშნავს ეს მოქმედება? ნიშნავს ამას: როგორც საკმეველი

არის კეთილ-სუნნელოვანი და კვამლი მისი ადის ზეცას, ეგრეთვე შენიცა ლოცვა უნდა იყოს ღვთის წინაშე შეზავებული გულის სიტკბოებითა და ზეცად აღიწეოდეს. მღვდელი ანუ ეპისკოპოსი შემოსილი და მწირველი მოასწავებს და წარმოადგენს თვით უფალსა იესო ქრისტესა. მთელი წირვა არის მოკლედ გამოხატვა და წარმოდგენა უფლისა იესო ქრისტეს ცხოვრებისა. როდესაც ღვდელი, ანუ დიაკონი სახარებასა წაიკითხავს, წარმოიდგინე, რომ გესმის ხმა და ქადაგება თავად უფლისა იესო ქრისტესი. როდესაც მღვდელი სამკვეთლოიდამ გამოასვენებს ტარიგსა და შეასვენებს საკურთხეველში და დაასვენებს ტრაპეზზე, იცოდე, რომ ის არის თვით უფალი იესო ქრისტე შემავალი იერუსალიმს, რათა მიიღოს ტანჯვა და ჯვარს-ცმა ჩვენთვის. ბარძიმში არის მისი სისხლი და ფეშხუმზე მისი ხორცი. ერთი სიტყვით, ყოველსა ეკკლესიურ მოქმედებასა და წესსა აქვს მისი მნიშვნელობა; მაშა სადამე როდესაც შენ სდგეხარ ეკკლესიაში, არც გონებითა და არც გულითა არ უნდა იყო უქმი დაფანტული: გონებითა უნდა განიზრახვიდე, რას ნიშნავს და რას გასწავლის ის, რასაც ხედავ და რაიცა გესმის; გული უნდა გქონდეს მდუღარე, მონანული, შემუსრვილი შენისა ულირსებისა და ცოდვისათვის. ამ სახით და ამ შემთხვევაში შენ ეკკლესია მოგცემს დიდსა სულიერსა სარგებლობასა; შენ და ეკკლესიის შორის დაიბადება მტკიცე და ღვთაებრივი კავშირი; შენ შეიყვარებ ეკკლესიასა, მოგეწონება წირვა-ლოცვის მოსმენა; ეკკლესიასა ექმნება შენ გულში გავლენა და მოქმედება; იგი ცოტ-ცოტათ გამოგიცვლის შენ გულს, გაგიკეთებს სასოებას და ხასიათს და ესრეთ ცოტ-ცოტათ მოამზადებს სულსა შენსა ზეციერისა სუფევისათვის, რომელიც და მოგვეცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან

ამინ.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

---

## ბაკურიძე და იმის გლეხი პეტრიელა.

### IV.

ზაფხული გადიოდა. სიმიდი მოეტეხათ და ეზოში მუხებ ქვეშ გაურჩეველი ტაროების ზვინები იდგენ. სადილობის დრო იყო. ბაკურიძეს სიცხისაგან გარეთ ვერ გაეძლო და გაფალარათებული ჰგოროავდა ტახტზე ჩვეულებრივად. იქვე კედლებზედ იყო მიკიდებული იმისი თოფ-იარაღი და მათრახი. ხელში გძელი ჩიბუხი ეჭირა და დაზარებით ეწეოდა. მოშორებით ანასტასიას მუხლები მოეკეცა ტახტზე და ზიტოს კაბას ჰკერავდა. პირდაღებულს პოლზე ზიტო ჩამჯდარიყო ნაფოტებში და სახლს აშენებდა. დროსა და დროს განმავლობაში ის ბატონურათ შეუძახებდა თავის გოგოს მარინეს, რომელიც იქვე ხელს უწყობდა თავის პატარა ქალბატონს სახლის შენებაში.—„რას შობი გოგო!.... მაქანეი კი არ უნდა მაგ ნაფოტი, აქანა დადევი!“ ამ დროს მარინემ უნებურათ წაჰკრა ხელი აშენებულს კედლებსა და ერთი საათის ნაშრომი ერთს წუთს დაანგრია.—„უიმე, დედა,—იწივლა ზიტომ—„დედა, მარინე არ მაყენებს, სახლი დამინგრია?—წუწუნით შეჩივლა ანასტასიას თავისმა ასულმა.

— მარინე, მარინე!... მომეცა ღვთის წყალობა, მე შენ გაგლახო! შეხედე ახლა ამ უნამუსოს შვილს. ორ წამს არ გოუშვებს ისე, რომ ყმაწვილი არ აატიროს!....—წყრომით შესძახა ანასტასიამ. მარინე აიფხორა. ნაფოტები ხელიდგან დაჰყარა და თავი ჩაჰკიდა.

— მარინე მომეცი მაგ ნაფოტები—უთხრა ზვრიტიამ, რომელიც გრძნობდა თავის დანაშაულობას იმასთან და უნდოდა მალე შერიგებოდა. ზვრიტიამ კარგა იცოდა, რომ ანასტასიამ იმის ბარობით შეჰფახა მარინე.

ამ დროს ბაკურიძემ კრუსუნით ფეხი ფეხს მოარტყა, გვერდზე გადმობრუნდა და დაიყვირა „ბიჭო“! მეორე ოთახიდგან მოისმა მთრთოლვარე ხმა: „ბატონო!“ და ამასთანავე შემოვარდა თავ გაწეწილი ცამეტი წლის პატარა ბიჭი, რომელსაც გაცვეთილი ლურჯი სამოსლის პერანგი ეცვა და დაგლეჯილს პერანგის ამხანაგში იმის მუხლებს თავი გამოეყოთ.—„წადი, თხილის ტოტები მოამტვრიე“ უბძანა ბაკურიძემ და დაბლათ წაიდუდუნა: „ღმერთო, ამ ბუზებმა საქმე გააჭირვეს“.—ცოტა ხანს შემდეგ პატარა ბიჭმა შემოიტანა ერთი პატარა კონა ფოთლიანი ტოტები დაჯდა ბატონის ფეხთით და დაუწყო ბუზების მოგერება. ამ დროს შემოიმართა ოთახში ერთი მაღალი გრძელ ულვაშებიანი კაცი. ძველი ქუდი თავზე ეფხატა. ის იყო პირხმელი და კარგი მოსული ჰალარა კაცი; პატარა თვალები ღრმად ჩავარდნოდა და ზედ ბოყვსავით გადმოფარებოდა განიერი შუბლი სქელი შავი წარბებით. მარჯვენა ხელი უბეში ჩაიდო, ფეხი განზე დადგა და პატივისცემით დადგა ბატონის წინ. შემდეგ ერთი მაგრათ ჩაახველა და დაიწყო.

—ბატონო ხაბაზს გააცხელა და გამომცხობი აღარავინ გვყავს.

— როდის გააცხელა? წამოიმართა ბაკურიძე და ისე ჰკითხა.

— ჯერ, ბატონო, გუშინაც აცივებდა მარამ დღეს ისთე ავათ გახდა, რომ ფეხზე ვერ დგებოდა: სიცხით გათარანებული იყო. რას ვიზამდი, შინ გოუშვი. აქ რომ გამეჩერებინა, უარესი იქნებოდა. ტყულა თქვენ შეგაწუხებდით. დაიწყო თავის გამართლება ხელოსანმა (მოურავმა), თითქოს შეეშინდა ვაი თუ ბატონი გამიწყრეს, იმის დაუკითხავათ რომ შინ გაუშვიო.

— ახლა მშიერი უნდა დავრჩეთ დღეს!—შესძახა ბაკურიძემ.

— დღეისთვის კიდო გახლავთ, მარა მერე კი აღარ გვექნება.

— პეტრიელა სად არის?

— აქ გახლავთ, მარამ.... არ შვება... მე არ გამოვაცხობო.... გამოცხობა ჩემი რიგი არ არისო. მის დღეჩი არ გვდებია და არც დევიდებ ბევრათ ხაბაზობასაო.

— წადი, დოუძახე.—გაჯავრებით უთხრა ბაკურიძემ.

ხელოსანი ოთახიდგან გამოვიდა.

— შეხედე იმ ეშმაკის შვილს!...—გაცეცხლებული თვალებით გადმოხედა ბაკურიძემ თავის ცოლს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო ანასტსია თანამიგრძნობს თუ არაო. მაგრამ ანასტასიას თავი არ აუღია საკერავიდგან; ეტყობოდა კი რომ კერვას მოუჩქარა.

— ან ბიერე იმისთანა გველის წიწილები, ჩააცვი, ასეი, აჰამე! ვითამ დაგისწავლიან! კი, რავა არა, იმათმა სიცოცხლემ! ის კიარა, თავზე დაგაჯდებიან.!... სუნთლათ კბილებს დავამტვრევ მაგ ეშმაკის შვილს, მაგას! მე ვასწავლი, როგორც უნდა მორჩილობა.—უცებ წამოხტა ზეზე ბაკურიძე, ხელები დაიმუქა და ტახტზე დაჯდა.

— ღმერთმანი, აპა, თუ არ მართებს, რეიზა გამოგიცხობს—წყნარის ხმით წამოიძახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასიამ და თავი კი არ აუღია საკერავიდგან.

— შენ... შენ გაჩუმდი!... მაგია შენი საქმე—საკერავზე თითი მიუღირა და გაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ახალგაზდა ოცი წლის ვაჟი, ბეჭებ-განიერი და ჩასხმული კაცი. სახეზე თურაშაულ ვაშლივით იყო შეწითლებული. შავი კოკობი ულვაშები ამაყად აეწკიპა და ტანზე ყვითელი შალის ჩოხა ეცვა. იმას ხელოსანიც თან შემოჰყვა.

— შენ ბძანე არ გამოვაცხობო?...—გაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

— რავქნა, შენი ჭირიმე. გამოცხობა ჩვენ პაპას და მამას არ მართებია....

— შენ აგი თქვი, ხაბაზობა ხომ კი იცი? ტფილის ქალაქს რომ იყავი, თურმე კარგათ ხაბაზობდი?

— ტფილის ქალაქს, შენი ჭირიმე, სულ სხვაა. იქ ჩემთვის ვმუშაობდი. თავის თვის რაცხას იზამს კაცი, იმას ბატონისტვის რავა იზამს!... რამდონიც მმართებს, შენი ჭირიმე, მომთხოვე; თუმც არ აგისრულოთ, რაც გინდოდესთ, ის მიქენით. რაც არ ჰმართებია, იმის მეტი სხვასაც არ გოუკეთებია და არც მე ვიქ.

— აპა, რომ გიბძანო, არ გამოაცხობ?.. ჰკითხა ბაკურიძემ, რომელიც პირზე აენთო და თვალები ისე გადმოუჭიმა, რომ, შეგეხედნა, იფიქრებდი, ეს არის საწყალი პეტრიელა უნდა ჩაყლაპოსო.

— რავქნა, შენი ჭირიმე, არ მმართებია და... რაც ბეგარათ მადევს, დიახაც კი ავასრულებ. კვირაში ორ დღეს გამოვდივართ ხოლმე სამსახურისთვინ.... თავად მე მუდამ თქვენთან ვარ. მიბძანეთ, რაც მმართებს, ყველის ფერს გავაკეთებ. თქვენთვის, შენი ჭირიმე, ცეცხლში ჩავდგები, მარა რაც არ მართებს, იმის გაკეთება არ შემიძლია.

— აპა, თუ არ შეგიძლიან, მე შენ გაჩვენებ.—წაავლო ხელი მათრახს, რომელიც კედელზე ეკიდა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი უელვა ზურგზე პეტრიელას და თან დასძახოდა — მას აქეთ, რაც ქალაქს იყავი, შენ წახდი, გაპილწდი, კაცს არ გავხარ.—

— აი, აი, აი!... რევაზ, მამიშენის სულს გაფიცებ, ზერიტია ნუ მოგიკვდება, თავი დაანებე—შეჰკივლა ანასტასიამ. ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მეორე ნემსიანი რევაზისკენ გააწვდინა.

— ანასტასია, გადი ახლავე მეორე ოთახში—გაბრაზებით შეჰყვირა ბაკურიძემ;—ზითხარი, შენი საქმე არ არის—თქვა... გეიყვანე მაგ ბალანაც (ყმაწვილს ეძახიან).

ცოლი თავზრუ დასხმული გავიდა მეორე ოთახში და თან აზუვლებული ზერიტიაც გაიყვანა.

— მომკალი, ბატონო, რაც გინდა ის მიქენი, მარა არ გამოვაცხობ. რაც არ მმართებს, არ ვიზამ, არა... არა... არა... მომკალი, მაგიერს ხომ ვერავინ გიზამს!..

— შიუკელა, წეიყვანე ეგ პილწი, საძაგელი, ხულაში დაამწყვდიე. ნურც ასმევ, ნურც აჭმევ, სანამდის ყველა არგაგიკეთოს, რაც უნდა უთხრა.—უბრძანა გაჯავრებით მოურავეს ბაკურიძემ.

მოურავმა სწრაფათ გაიყვანა გალახული პეტრიკელა, რომელიც, თითქოს ჟინში ჩაუდგაო ბატონსა, სულ ამას იძახოდა: „არ გამოვაცხობ, არა, არა, არა და არაო."

ბაკურიძემ გაჯავრებისაგან ქშინვა დაიწყო; პირიდგან დორბლი მოსდიოდა, ერთ ადგილს რომ ვერ გაჩერებულიყო, დაიწყო ფეხტიტველა სიარული და ამას იძახოდა: „მე შენ გაჩვენებ სეირს; მე შენ გიზამ ნაქნარს!..

ამ რიგათ კარგა ხანს იარა ბაკურიძემ ოთახში; ბოლოს როცა ძალიან დამშვიდდა, პირის სახე გადაეწმინდა, ის დაჯდა ტახტზე და ააბოლა თავის ჩიბუხი.

პატარა ბიჭი შემოვიდა, მაგრამ ისე კრძალვით, თითქოს კარები არ გაუღია, საიდგანღაც მოფრინდაო, იტყოდი.

— სადილი მზათ გახლავთ.....

— მოიტანონ!—თავისთვის წაილაპარაკა და ჩიბუხისათვის პირი არ მოუშორებია, თითქოს ბიჭს ეუბნებოდა, აბა რა სულიერი ხარ, შენი ხმის გაცემა ვიკადროვო.

— ანასტასია გამოდი, სადილი ჭამე.—

— არა, არ მინდა—წამოიკრინა მეორე ოთახიდგან ცოლმა იმისთანა ხმით, თითქო, გულზე ლოდი აწევს და ხმის ამოღებას უშლისო.

— თუ არ გინდა, ჭირი მომჭამე—თავისთვის წაიდუდუნა ქმარმა. მერე ხმა მაღლა შეჰყვირა: „შენ თუ არ გინდა, ეგ ბალანა მაინც გამომიგზავნე;—ზიტო, მოდი, გენაცვალე სადილი ჭამე—დაუძახა მამამ.

პაწაწა ქალი გამოვიდა ცხვირ გაწითლებული და ცრემლიანი თვალებით, რომელთაც იშმუშვნიდა პატარა ხელებით. ის მოვიდა წყნარათ მამასთან. ამან მუხლზე დაისვა, თვალები ამოუწმინდა და ლოყაზე აკოცა. ზიტო სრულებით დაწყნარდა და სადილს რომ შეხედა, ისეთი მხიარული სახე მიიღო, თითქოს თავის დღეში არ ატირებულიყოს.

სულ ყოველთვის ასე ფიცხად არ ექცეოდა ბაკურიძე თავის ბიჭებსა. როდესაც შეიხვედრებდა იმისთანა დროს, რომ შინ მთელს დღეს მოსვენებით გაატარებდა და არავინ გააჯავრებდა, მაშინ სადილ-ვახშამი ყოველთვის გამხიარულებული იყო. ის დაუწყებდა თავისბიჭებს ხუმრობას და იმისთანა რასმე ეტყოდა, რომ რაც უნდა წარბშეკრული ბიჭი ყოფილიყო, მაინც გაალიმებდა. ხან და ხან მწუხარე ანასტასიაც ველარ შეიკავებდა სიცილს და მაშინ დაუწყებდა ქმარს ხვეწნას, კარგია თავი დაანებეო, თითქოს ამით ეუბნებოდა, აბა მხიარულება რა ჩემი საქმეა: მწუხარების დღეს დავბადებულვარ და მწუხარებით უნდა გავატარო ეს წუთისოფელიო. თვითონ ბაკურიძე არას დროს არ გაიცინებდა თავის ხუმრობაზე, თუნდ რომ სხვებს კურცხლებიც წამოვარდნოდა სიცილით.

მხოლოდ ხან და ხან მსხვილ ჭაღარა ულვაშებს გასწევდა, თვალებს დაწკურავდა და მაშინ გამოუჩნდებოდა ორი ფართო წინა კბილი. ამ დროს იმის სახეზე რომ შეგეხედნა, იფიქრებდი: სწორეთ გაიძვერა და ეშმაკი კაცი უნდა იყოსო! როცა სადილს წინ ხელსაბანს წყალს ჩამოატარებდა მსახური, ბაკურიძეს ჩვეულებათა ჰქონდა, ხელს რომ დაიბანდა, პირსაც გამოირეცხდა. ბაკურიძე ამ დროს დაიგუბებდა ხოლმე პირში წყალსა და მსახურს თითით ანიშნებდა: გეთაყვა ერთი კისერი გამისინჯე, მკბენარი ხომ არ მაზისო. მსახურიც მაშინვე დადებდა თუნგსა და ტაშტსა, მიუახლოვდებოდა ბატონს დიდის მოწიწებით და გულში ჰფიქრობდა, ღმერთო მკბენარი მანახვინე, რომ ბატონს ვასიამოვნოვო. ამ დროს ბატონი შიგ ცხვირპირში შეაშხეფებდა დაგუბებულს წყალს. ატყდებოდა ხარხალი. ზერიტიას ხითხითით კურცხლები სცვიოდა ხოლმე. ამისთანა ხუმრობაზე ზერიტია ყველაზე ადრე გადიკისკისებდა. თვითონ ნასხური ექნება გულში კი არა გრძნობდა კმაყოფილებას პირის დაბანისათვის, მაგრამ სხვების ხარხარს რომ უყურებდა, ისიც უნებურად გაიღიმებდა. ამისთანა ხუმრობა ბაკურიძემ

ახალ მოსულ მოსამსახურესთან იცოდა, რადგან ის ჯერ ახალი იყო და ბატონის ხუმრობა ჯერ არ გამოეცადნა ამისგამო ადვილათ მოსტყუედებოდა; თორემ ძველი მოსამსახურეებისთვის იმისთანას რასმე მოიგონებდა, რომ ჯერ არ გამოეცადნოთ და ბიჭებიც ამისგამო ადვილათ მოტყუვებულიყვენ. ხან და ხან სიცილის მაგიერათ ცრემლებს გადმოჰყრიდა ის ბიჭი, რომელსაც დაატყდებოდა ბატონის სასტიკი ხუმრობა. ბიტო და სხვები კი მუდამ იცინოდენ. მაგალითად ერთხელ ბაკურიძემ, როგორც ნაკვერცხალი, ისე გახურა სამ კაპეიკიანი, და დასდო ბუხრის პირზე; პატარა ბიჭს დაუძახა და უთხრა: „ბიჭო ეგ სამკაპეიკიანი მომეცი, ეს არის, ეხლა დამვარდაო". პატარა ბიჭმა სწრაფათ სტაცა ხელი სამკაპეიკიანს; ერთი ხელი რომ დასწვა, მეორეში ჩაიგდო, მერეც რომ დასწვა, დააგდო და სიმწარით ხელებზე სულს იბერავდა. ბიტო იმ დროს საშინლათ ხითხითობდა; სხვანიც ძალიან გამხიარულდენ პატარა ბიჭის ხელების დაფუფქვაზე. იმ საწყალს კი ხელის გული აებერა და ცრემლები სიმწარით გადმოჰყარა.

(შემდეგი იქმნება).

## ორიოდე სიტყვა სასოფლო შკოლებზედ,

რომელნიცა არიან ახალციხის უეზდში ჩყჲდ-ს წ. გახსნილნი კომმისიისა მიერ, და ახალ სასოფლო შკოლებზედ. *)

თავეს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და თავეი ისარაში მირბოდაო. ეს ანდაზა სწორეთ ახალციხის უეზდის დაბალ ქართველ-ხალხზედ საზოგადოთ მოქმედებს, ამისთვის რომ ქამისია ცდილობდა და ეხლაც ცდილობს ამნაირ გაუნათლებელ და გონება-გაუხსნელ ქართველთ შორის გაავრცელოს „ზნეობითი" სწავლა, და „გონებითი" გახსნა. აქ „ზნეობითი" სწავლა იმ აზრით ვიხმარე, რომ აქაურმა ქართველებმა თითქმის მესამედმა არ იციან ლოცვა „მამაო ჩვენო", რომლისაც მოვალენი არიან მღვდელნი, რომ ასწავლონ მათ და უკეთუ ტყუილს ვამბობ, ვთხოვ უმორჩილესად აქაურ სოფლის სამღვდელოებას ცოტა რამ შენიშვნა მომცენ ამაზე. ხოლო ახალ-გაზრდობის სწავლა მასწავლებლების ვალია, როგორც „ზნეობითი" სწავლაში, ეგრეთვე „გონებითი" გახსნაში. — „გონებითი" გახსნა, იმისთვის ვიხმარე, რომ აქ ორმოცი წლის კაცს რომ ჰკითხო: სამი და სამი რამდენია? — გარწმუნებ, მკითხველო, თუ მეოთხედ საათს მაინც არ იფიქრა ვერ იტყვის და იქმნება მერმე გამოთქვას. ქამისიის მიერ გახსნილ შკოლებში შეუძლიანთ დიდებმაც ისწავლონ, თუ ისურვებენ, ქართულ კითხვას, წერას და ანგარიშს; აქ ამის დასამტკიცებლათ ერთ მაგალითს მოვიყვან: ორი კაცი იმ სოფლისა, სადაც მე მასწავლებლათ ვარ, წასულიყვნენ ქალაქში, (ახალციხეს), პურის ფქვილები წაეღოთ გასასყიდათ. ფქვილები სომეხს ეყიდნა და ეთქვა იმათთვის, — შვილებო რიგიანათ იანგარიშეთ და ფულები მიიღეთო. ხომ იცი შენი რამდენი ფუთია? — ვიცი. — შენი? — ვიცი. ფუთი როგორ მაქვს ნაყიდი, ისიც ხომ იცით? — ვიცით, ვიცით. შეანგარიშნათ და იმ ანგარიშის კვალზე სომეხსაც ფული მიეცა. მოვიდნენ რა ქალაქიდამ თავის ოჯახში, შემდეგ ერთი საათისა ჩემს ოთახში შემოიჭიმენ გლეხები. გამარჯობა ბატონოო? — გაგიმარჯოს. — ბატონოო? — რა გინდათ? - ჩვენ ფქვილები გვქონდა ქალაქში (ხომ ვერ გამოთქმენ ში). ერთმა სთქვა, ჩემი ფქვილი იყო ათი ფუთი, ჩემი ამხანაგისა კი ცხრა ფუთ ნახევარი; თითო ფუთი გავყიდევით სამ-სამ აბაზათ, გეყურბანეთ (თათრულია, რომელსაც აქაური ქართველები ხშირად ხმარობენ. ქართველები ხშირად ხმარობენ ქართულ ლაპარაკში თათრულსაც.), ქართულებ გენაცვალე იანგარიშეთ რამდენი უნდა მრგებოდა მე და რამდენი ჩემ ამხანაგს. მე ვიანგარიშე და საწყლებს თითქმის ორ მანეთამდის ზიანი გაეწიათ თავიანთი უცოდინრობისა გამო.

— ახლა ამას თავი დავანებოთ და მივჰყოთ ხელი იმის აღწერას, თუ როგორ შეხვდა ხალხი ამ კეთილ და საინტერესო საქმეს? ძრიელ გულგრილად შეხვდნენ და ცდილობდნენ, როგორმე აეშორებინათ, ეს კეთილი საქმე თავიდამ; მაგრამ ვერ შეძლეს, რადგანაც უმაღლესი ბრძანებით იყო დაწესებული. — ააშენეს შკოლები; მაგრამ ყმაწვილების შკოლაში მიცემა ერთი მეორეზე წინ ყველას უძნელდებოდა. ერთი მეზობელი ეუბნებოდა მეორეს, შენ მიეცი ბიჭი, მეორე ეუბნებოდა, ჯერ შენ მიეცი, რომ მერმე მე მივცეო...... როგორც იქმნა შეგროვდა ესრე წვალებით რამოდენიმე ყმაწვილი. სამწუხარო ჩემდა ყმაწვილს, რომ შკოლაში მოსვლა ეხალისებოდა და სწავლა ჰსურდა, მამა ეუბნებოდა, წადი შკოლაში, ოსტატი (მასწავლებელს ეძახიან) როგორ გცემს, სულ ჯოხით გცემს. იმათ ეგონათ მასწავლებელი იმიტომ მოსულა, რომ ჯოხები მოუტანია და ყმაწვილებს უნდა სცემოსო, და სწავლაზე თითქმის არ ჰფიქრობდნენ, და მერმე რომ იკითხავ, სალდათათ გაგზავნიანო. ამ სიტყვების ძალით, ჩემო მკითხველო, თითქმის ნახევრამდინ გამექცნენ ყმაწვილები, რომელნიც უფრო მცირე-წლოვანნი იყვნენ და სალდათი თვალითაც არ ენახათ. ის კი იცოდენ, რომ სალდათი უცხო კაცი არისო, რომლისაც ძრიელ ეშინიათ ყმაწვილებს. — მეორე დღეს მოვიხმე ყველანი დიდის გაჭირვებით. — შეველი თუ არა შკოლაში, ერთმა იმათგანმა დაიძახა უეცრათ, ბატონო? — რა გინდა! — რა და! მამამ მითხრა, რომ ისწავლი თუ არა, სალდათად წაგასხმენო, მეორემ თქვა, მეც მითხრა, მესამემ — მეც....... ისრე გაბედვით სთქვეს ეს სიტყვები, რომ მე ძრიელ გამიკვირდა და მიამა იმათი ისრე გაბედვით ლაპარაკი; კიდევაც თითონვე ახსენეს თავიანთი ნალაპარაკი სიტყვები. უხლა ვთქვათ, ბატონო, მამა ჩვენი უსწავლელნი არიან; რომ ბრძანოს ხელმწიფემ, ვერ წაიყვანს იმათ სალდათათ? — თუ ინება, უსწავლელსაც წაიყვანს და სწავლულსაც, მე უთხარი მათ. ბოლოს დაუმატეს არა სჯობს, ბატონო, რომ ვისწავლოთ და თუ წაგვიყვანს ნასწავლი მაინც ვიქნებით. — დიაღ, სჯობს ეს აზრი, რომ დაწვრილებით შეიტყვეს ყმაწვილებმა, შემდეგ ბეჯითად დაიწყეს სიარული შკოლაში, და სწავლობდენ, როგორც შეეძლოთ და ახლაც სწავლობენ. ამასვე დაუმატებ, მკითხველო, რომ სხვა შკოლებშიაც ამის მსგავსნი ამბავები იყვნენ; მაგრამ ეხლა განჰქრენ; და საბოლოოთ იმედი არის, უმჯობესი იქნეს, რადგანაც ახალგაზდობა შეიტყობს სწავლის გემოს, იმედი არის მამა-პაპურად ელარ მოიქცნენ. ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ახალ-შკოლების გახსნის თაობაზე: რანაირათ სწუხან და ჯავრობენ ხალხნი...

ეს ახალი შკოლები უნდა გაიხსნას: სომხის, ფრანგის და თათრის სოფლებში, რად-

*) ეს გამოცხადდა ამ ახალციხის უეზდში და ახალქალაქის უჩასტკაში ივლისს ჩყჲჱ-ს წ., რომელიც უნდა აღაშენონ თავიანთი ხარჯით და მასწავლებლებიც თავიანთი ხარჯით უნდა დაიჭირონ.

ნაც ზევით ვსთქვი, რომ ქართველებში შკოლები ყველგან არის.. ხალხი ძლიერ შერყეული არის ამ შკოლების გახსნის თაობაზე, განსაკუთრებით თათრები. ამ საქმის გამოცხადების შემდეგ მრავალნი გადასახლდნენ და დასტოვეს ეს ჩვენი ქვეყანა. ერთი იმისთვის რომ, თუ შკოლები ავაშენეთ და შვილებს ვაკითხეთ, გააქართველებენ (გააქრისტიანებენ), მეორეთ სალდათათ წაასხმენო და იმისთვის მიჰმართეს ოსმალეთს დანარჩენიც ამ ჰაზრისანი არიან. ერთხელ ჩემ ამხანაგთან ვიყავი მახლობელ სოფელში შკოლის დასახედავათ და ყმაწვილების სანახავათ, თუ როგორ სწავლობენ; მაგრამ შკოლაში ყმაწვილები არ იყვნენ, რადგანაც მუშაობა ჰქონდათ და თავიანთ მშობლებს შველოდნენ მუშაობაში; შინისკენ რომ დავბრუნდი მეორე დღეს, ერთი დაბა-სოფელი უნდა გამომეარა; დაბა-სოფელი იმიტომ დავარქვი, რომ ნახევარი დუქნობაა და ნახევარი სოფლობა თათრებისა და სომხობისა. მივაღწიე რა იმ დაბა-სოფელში: ერთი თეთრწვერა, მოხუცებული, (ოსმალელების თავი კაცია, შემომხვდა უეცრათ წინ და მიყო თამამი (სალამი) „ახშამ ხეირ ოლსუნ“!—მეც უპასუხე „ახშამ ხეირ“ და თან ხელი მივეცი ევროპიულად. დაბძანდი მითხრა. მე დავჯექი. ჩემი შვილობის ამბავი მკითხა..... ბოლოს ჩამოაგდო ლაპარაკი შკოლების შესახებ; მკითხა თქვენი შკოლა რა შვრება?—კარგათ არის, მეც უპასუხე. ყმაწვილები არ არიან, ეხლა არ ჰკითხულობენ? არა! არ ჰკითხულობენ. ჰო! ჰო! ვიცი მერმე თითონ სთქვა, მართლა ეხლა მუშაობა არის და არ ექმნებათ მოცალეობა. დიალ! ეგრე არის მეც დაუმტკიცე, რადგანაც მაშინ სწავლა არ მჰქონდა. შემდეგ განაგრძო თავის ბაასი ახალ-შკოლებზედ. ჩვენი ოსმალობა რომ სულ ახლო არ უდგება შკოლის გაკეთებას, ეს როგორ მოგწონთ? უნდა მეთქვა მე ეგ. . . . , მაგრამ მომიჭრა სიტყვა და სთქვა: ამ საწყლებმა არ იციან, თუ რა კეთილი შეიძლება, სწავლიდგან კაცმა შეიძინოს და ვერ ცნობილობენ მას. ეს იმის სიტყვები ძლიერ მოეწონა, მერმე თქვა: ჩვენ შვილებს, რომ ვაკითხოთ სალდათათ წაასხმენო, ხალხი ამბობს, მართალი იქმნება, თუ ტყუილიო?—მკითხა მე, და უნდოდა, რომ დაეტყუებია ჩემთვის სიტყვები: იტყვის სალდათის გაყვანას თუ არაო? მე მაინც ჩემებურათ ვუპასუხე: აქაური ხალხი რომ არ წაიყვანოს სალდათათ, მის მეტი რა ჰყავს ჩვენ ხელმწიფეს.—ბოლოს კიდევ დაიწყო ლაპარაკი. ხალხი ამბობს, რომ თუ შკოლები ავაშენეთ და შვილებს ვაკითხეთ, გააქართველებენ (გააქრისტიანებენ) ჩვენ შვილებსაც და ჩვენცაო. ამის მიზეზით ვერ ვაკითხებთო და იმიტომაც უნდა გადავსახლდეთო. ხალხი ამბობსო არ შეგვიძლია აქ დადგომაო. ეს ჰაზრები არა თუ ხალხის მოგონილი არის, არამედ თვითონ იმ თავი კაცის, რომელიც ზევითა ვსთქვი. ერთხელ შემდეგ ამ გამოცხადებისა განგებ დაიარა მთელი ოსმალოს სოფლები, ვითომც ხალხს განუცხადებ, რომ შკოლები ააშენეთო და შვილებს აკითხეთო; მის მაგიერ მან შთაგონა ასრე ილაპარაკეთო, რომ შკოლებს ვერ ავაშენებთო და შვილებს ვერ ვაკითხეთო, ბოლოს თავის ჰაზრი ვითომც ხალხს ელაპარაკნოს, მე მიამბო და ამ პირმოთნეობით მასიამოვნა; მაგრამ იმის ფარისევლობა თითქმის ერთი წლიწადი იყო, რაც გაგებული მჰქონდა. იქვე მითხრა: ბევრ დარიგებას ვაძლევო ხალხსო და არ მიჯერებენო. ეს კი წინააღმდეგ ამისა მოქმედებს და აგონებს ხალხს. მე როგორც ნამდვილი წყაროებიდამ შემიტყვია და ვიცი ბევრსა ჰსურს „ქრისტიანობრივი“ სარწმუნოება მიიღონ; მაგრამ ამ გვარი კაცის შიშით ვერ გაუბედია. აქ ერთს მუხლს მოვიყვან „ბაქიების“ ხროვის“ კამედიიდამ და ეს მუხლი დაგვიმტკიცებს იმის სიმართლეს. აი ეს კუპლეტი:

არა იმის საქმეში სწორე არ ურევია;
ნიადაგ მაცდურებას ხელი დაურევია.
სიცრუის ტბას დაფლულა, ღრმათ ფეხი ურევია,
ხან რას ამბობს, ხან რასა,
თვით არ გაეგებისა.

რას იტყვი, მკითხველო, ჩემგნით ზემო მოყვანილ ლექსებზე? ჩვენ შეგვიძლია ამ გვარ კაცს ეხლა დავერწმუნოთ?—რომელიც ზევით ისე გულწრფელად არიგებს და აგონებს ხალხს... არა!. რადგანაც ნამდვილათ ვიცი, რომ ძრიელ ამაგრებს ხალხს და აგონებს... ზევითა ვსთქვი, დანარჩენ ოსმალებსაც ჰსურთ გარდასახლდნენ; მაგრამ ზოგიერთ გარემოებისაგამო ვერა ჰბედვენ და ეხლა რადგანაც ბრძანებას ვერ გარდახდნენ, ქვებს და ხეებს ზიდვენ სკოლებისათვის: სომხები, ფრანგები და ზოგიერთნი ოსმალებიც იმედი არის ყველანიც ააშენებენ და შემდეგისთვის, როცა გაიხსნებიან შკოლები და სწავლაც დაიწყობა, ვეცდები შკოლებისა და გვარად ჩემისა მოვახსენო მკითხველს დაწვრილებითი ცნობები.

ს. ჯ—ლელი.

1 ოკტომბერს 1868 წელს.

## საოჯახო ცნობები.

### სხვა და სხვა სასმლის შინაურად გაკეთება.

**კვასი წითელი.** ბვასი თაფლწყალი და ლუდი. ერთი ჩეთვერი ქერის ალაო წვრილად და ახლად დაფქვილი, ნახევარ ჩეთვერი ჭვავის ალაო, პურის ფქვილი და ჭვავისა ხუთმეტი გირვანქა ჩაყარეთ კასრში და ურიეთ ნიჩბით; შემდგომ დაასხით მდუღარე წყალი, რომ ფქვილები დალბენ, ერთი საათი ასე თავი დაანებეთ. მერე გახსენით ცხელ წყალში, ასე რომ ნიჩაფი თავისუფლათ ურევდეს. მერე სხვა კასრში გადმოიღეთ და ცხელი წყალი დაუმატეთ და წვენი გამოუშვით ვარცლში, ერთი საათი დაასვენეთ. როდესაც გაცივდეს ასე რომ ცოტალა ჰქონდეს სითბო, მაშინ დაასხით ამ წვენს ახალი დროჟი სამი კოვზი, და ახალი პიტნა ნახევარი გირვანქა და დახურეთ ვარცლი, ანუ კასრი. როდესაც თეთრი ქაფი გამოჩნდეს, ურიეთ ხშირათ და ნუ მიუშვებთ, რომ ძალიან არ დამჟავდეს, შემდგომ ჩაასხით ბოჩკაში, ჩაყარეთ კიდევ პიტნა და საყინულეში ჩადგით.

2.) ქერისა და ჭვავის ალაო თითო ჩეთვერი, ორი ჩეთვერი ჭვავის ფქვილი, ურიეთ და მოხარშეთ ცხელ წყალში; მერე ჩაასხით ქოთანში და შედევით ღამე ფეჩში, ფეჩის კარი დაუხურეთ და თიხით გალესეთ, ერთი ღამე ასე იყოს, მეორე დღეს ქოთანი გამოიღეთ, ამოიღეთ ეს ცომი, დიდა ჩადეთ კასრში, ექვსი ვედრა ადუღებული წყალი დაასხით, აურიეთ ნიჩბით, შეასქელეთ კვასის თხლითა, ერთი კონა პიტნა ჩადევით და დახურეთ კასრში.

**თეთრი კვასი.** ქერისა და ჭვავის ალაო თითო ჩეთვერი, პურის ფქვილი ერთი ჩეთვერი, გამტკიცული ჭვავის ფქვილი ნახევარი ჩეთვერი და გრეჩანის ფქვილი ერთი ჩეთვერი, კასრში ერთათ აურიე და ამას დაასხი ადუღებული წყალი, მურკლები ნიჩბით აურიეთ, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათს გაუწყვეტლივ ურიე. სხვა ისე რიგათ გააკეთეთ, როგორც წითელი კვასი ჰსწერია.

კოსტანტინოვის კისლიშჩი. (სასმელია ზაფხულში) თეთრი კრუპის ფქვილი (ნემენცურს რომ ვეძახით), თორმეტი გირვანქა, გრეჩნის ფქვილი ათი გირვანქა, ორი გარნეცი პურის ალაო, ჭვავისა, გამომცხვარი პურის გული უქერქო თორმეტი გირვანქა. გააშრეთ დანაყეთ, აურიეთ ფქვილში და ალაოში. ათი ვედრა ადუღებულ წყალში მოხარშეთ, მერე წყალში გახსენით; როცა დაწნდება, მერე კასრში ჩაასხით ჩაჰკიდეთ პარკით ერთი გირვანქა ქიშმიში, ხუთი კონა პიტნა დაამჟავეთ ლუდის დედათი. როცა დამჟავდეს ბოთლებში ჩაასხით, პარკიდგან ქიშმიში ამოიღეთ და ორორი ჩააგდეთ ყოველ ბოთლში.

### თაფლის სასმელი.

ერთს ფუთს თაფლისათვის მოიღებენ რვა ვედრა წყალსა ჰისას დაურევენ ორსავე ქვაბში, რომელსაც შემოსდგამენ ნელ ცეცხლზედ, უნდა ეცადნენ არ დაიწვას თაფლი. ამ გვარათ ხარშვენ თაფლსა, მანამ არ აქაფდება, ქაფი უნდა მოიხადოს; თუ რომ თაფლი საჩქაროთ დასალევათ გინდათ, ბევრი არ უნდა. — თუ დიდხან შესანახავათ გინდათ, ამდენი უნდა ხარშოთ, რომ სქლად წებო მოუვიდეს. ასე მოხარშული გააცივეთ, ასე რომ თბილ რძესავით იყოს ახალ მოწველილის მსგავსათ, მერე ბოჩკაში გადმოასხით, დროჟი უყაეით, შემდგომ აავსეთ უთუოთ ბოჩკა, დაუცეთ ბოჩკას და ცოტა ნახვრეტი უნდა დარჩეს, რომ ჰაერმა იმუშაოს. — როცა დაიდუღებს დაუცვევით პირსა კარგათ. როდესაც ღვინის სუნი მოეცემა თაფლსა, ბოჩკას ცივს მარანში დასდებენ, რომ არ ადუღდეს. — რომ კარგი გემო ჰქონდეს ამ სასმელს უზმენ ამ სანელებლებს: თორმეტ მისხალ დარიჩინს, ოთხ მისხალ ნახევარ მიხაკს, თითო მისხალ ილსა და პილპილს. მერე ბოჩკიდგან ბოთლებში გადაასხმენ. —

ვარდის თაფლ წყალი მაგარი. ათი ვედრა წყალი, სამოცდა ხუთი გირვანქა წითელი თაფლი მოხარშეთ ქვაბში, ისე როგორც ზემოთა ჰსწერია. მერე გაწურეთ რამდენჯერმე პარკში, რომელშიაც უნდა ეყაროს გამხმარი კუნელი. ასადუღებლათ უყაეით ხუთი სტაქანი დროჟი და დასაწმენდათ სამი მისხალი თევზის წებო. — სუნისათვის ვარდის ზეთი დააწვეთეთ ექვს ექვსი კაპლი თითო ვედრას, ათ ვედრას სამოცი კაპლი. დადგით ბოჩკა ორი თვე საყინულეში, თორემ მღვრიე გამოვა. გადაასხით ბოთლებში ერთ წელიწადს გაჰსძლებს. —

### ცივი სასმელები.

### ეგ—ნოგ.

დიდ სტაქანში ერთი მოდიდო ნატეხი შაქარი ჩააგდეთ ერთი კოვზი წყალი დაასხით, დააყარეთ ექვსი ახალი ფოთოლი პიტნისა, მერე ხის კოვზით შაქარი და პიტნის ფოთოლი გახეხეთ; ამას დაუმატეთ ერთი კვერცხის გული, კიდევ კარგათ ურიეთ შაქართან, მერე დაასხით ცივი წყალი, ასე რომ მესამედი წილი იყოს სტაქნისა, შემდგომ აავსეთ სტაქანი კარგის ღვინით, ათქვიფეთ კარგა და ამ ქაფში ჩააგდეთ ყინულის ნაჭერი, ეს სასმელი კარგი თურმე არის. —

ფუნჯ გლასე. (ანუ გაყინული ფუნჯი). ექვსი ლიმონის ქერქი შაქარზედ დაათხიკეთ, ბლუდზედ დასდევით, დააწურეთ ექვსივე ლიმონი. უყაეით დამტვრეული შაქრის ნაჭრები ორი გირვანქა დაასხით ნახევარი ბოთლი წყალი; როდესაც შაქარი გადნება, მაშინ ესენი ჩაასხით მაროჟნის ფორმაში, ჩადგით მარილიან ყინულში და ატრიალეთ, როგორც მაროჟნა; როცა ეს შაქარი გაიყინება, მაშინ ფორმაში დაასხით ერთი ბოთლი ან კარგი თეთრი ღვინო, ან შამფანსკი, კიდევ ატრიალეთ, მანამ არ შესქელდეს. — შემდგომ დაასხით ერთი ბოთლი კარგი თეთრი რომი და ატრიალეთ, ყინულში, მანამ ზეთსავით არ შესქელდება, — ამას ყურიან რუმკებითა სმენ; ამისთვის რომ ხელის შეხებით მალე დნება.

### შვრიის წყალი ავათმყოფებისთვის.

მერვედ გირვანქისას შვრიას მოხარშვენ ერთ ბოთლ წყალში ნახევარ საათსა; მოსწურევენ და ექვს მისხალ ლიმონის წვენს უზმენ, დაშაქვრენ როგორც უნდათ, დასდგმენ ცივათ. შაქრის მაგივრად მურაბაც შეიძლება.

### ქერის წყალი ავათმყოფებისათვის.

მერვედი გირვანქისა ქერი ორ ბოთლ ნახევარ წყალში მოხარშეთ; ამდენს ხანს ხარშეთ, რომ ქერი დასკდეს; ფლანელში გაწურეთ, შაქარს უზამთ, ლიმონის წვენსა და თეთრს ღვინოს.

### ტკბილი შრატი.

ერთ ბოთლ რძეში ჩააგდეთ ოთხი კვერცხის ცილა და მაშინვე ერთად მოხარშეთ გაძრიელებულს ცეცხლზედ, რომ მაშინვე წამოდუღდეს. —

მჟავე შრატი. ორ ბოთლ რძეში კოვზ ნახევარი სტოლისა ლიმონის წვენი უყაეით, მოხარშეთ, გაწურეთ. თუ რომ ცოტა მჟავე მოვიდა, შაქარი იყაეით.

### საზანთროს გორსი.

ოცდა თექვსმეტი საზანთრო საშუალო დასჭერით შუაზედ; ნახევარი წითელი იყოს, ნახევარი ყვითელი; ხორცი შემოაცალეთ, კურკები ამოიღეთ, გამოწურეთ წვენი სამი საათი ადუღეთ ქვაბში და სულ ურიეთ, მერე გაწურეთ. გაწურული წვენი გადაასხით სხვა ქვაბში, მერე ათი სხვა საზანთროს ხორცი, წითელი იყოს თუ ყვითელი, დაკეპეთ, წვლილად დაჰსჭერით. ხუთი საათი კიდევ ხარშეთ და ურიეთ, რომ არ დაიწვას. როცა შესქელდეს ცეცხლი მოუკლით და შესქელებულ წვენს დააცალეთ დაიწმინდოს. როცა დაიწმინდება, ზემო დაწმენდილი წვენი გადმოასხით ბოთლებში. რასაკვირველია ამ გორს იქ აკეთებენ, სადაც ბევრი მოდის საზანთრო.

### ლიმონის სიროპი.

ასი ლიმონი გამოწურეთ, მოუმატეთ თორმეტი აპელსინის წვენი და წმინდათ დანაყილი ათი გირვანქა შაქარი, აურიეთ ესენი ერთმანეთში და ბოთლებში ჩაასხით, დაუცეთ პრობკები და ცივათ შეინახეთ.

2.) ერთი გირვანქა ლიმონის წვენი, რომელიც უნდა იყოს გაწურეილი ვერცხლის თასში ჩაასხით, ან ჩაის ჯამში ორი გირვანქა წმინდათ დანაყილი შაქარი უყაეით, შემოდგით ნელ ცეცხლზედ, ურიეთ. როცა შაქარი დადნეს, მაშინ ტაფა გადმოდგით ცეცხლიდგან, დააცალეთ, წვენი გაცივდეს, მაშინ გასწურეთ წვენი საცერში. თუ გინდათ, რომ სიროპი იყოს სუნელიანი, უნდა დააწყოთ რამდენიმე ლიმონის ერბო, შაქარ ფხვნილზე მერე ჩაასხით გამშრალს ბოთლებში და დასდგით ბნელ ცივს ალაგს.

სიროპი ალუბლისა. — გამოწურეული ალუბლის წვენი გაწურეთ ფლანელში, მერე ნახევარ გირვანქა შაქარი მოუნდება თითო გირვანქა წვენსა, შემოდგით თითრბის ტაფით ცეცხლზედ, ორჯერ სამჯერ წამოადუ-

ლეთ და ჩაასხით კარგა გარეცხილ და გამშრალ ბოთლებში. თუ რომ თბილს დაუცეით პრობკები, ადუღდება. ვინემ ჩაასხამდეთ ცხელ სიროპს, საჭირო არის მოთბო წყალი გადაავლოთ ბოთლებს, რომ ცხელი სიროპით არ გასქდენ.

### მსხლის სიროპი.

ბაფცქვენით მსხლები მწიფე დასჭერით წვრილად, მოხარშეთ ცოტა წყალში, იქამდის ხარშეთ, რომ ფაფასავით გახდეს, შემდგომ სალფეტკში გაწურეთ, ერთი ბოთლ მსხალის წვენს სამი გირვანქა შაქარი უნდა დააყაროთ. ეს წვენი ხარშეთ, ვინემ შესქელდებოდეს. გააცივეთ და ბოთლებში ჩაასხით.—

### სიროპი დარიჩინისა.

ერთ გირვანქა წმინდათ დანაყილს დარიჩინს ექვსი ბოთლი წყალი დაასხით, ორი დღე და ღამე ისე იყოს, მერე არაყსავით გამოხადეთ, ასე რომ ოთხი ბოთლი გამოვიდეს; ერთ ბოთლ ამ წყალს ორი გირვანქა შაქარი მოუნდება; ქვაბში ჩაასხით, შაქარი ჩაყარეთ; და სხვა ქვაბში ცხელი წყალი უნდა იყოს; იმაში ჩადგით, შაქარი რომ დადნეს, ბოთლებში ჩაასხით.—

### სიროპი ყავისა.

ერთი გირვანქა წმინდათ დანაყილი ყავა ჩაის ჯამში ჩაყარეთ, დაასხით ცოტა მდუღარე წყალი და ურიეთ კოვზით. ამ ჯამს გადაფარეთ კარგათ; ერთი დღე და ღამე იყოს თბილათ, მერე წვენი გადმოასხით, გაწურეთ; კარგა უყავით შაქარი და თბილი ჩაასხით ბოთლებში.

### ბოგრის სიროპი.

მწიფე გოგრებს შუაზედ გასჭრიან, თესლსა და ძარღვებს ამოიღებენ, მერე წვრილ ნაჭრებათ დასჭრიან ასე რომ კაკლისოდენები იყოს ხარშვენ ამას ნელ ცეცხლზედ; წყალი არუნდა, მაგრამ ასე სიფთხილით უნდა ხარშონ, რომ არ დაიწოს ან ხრაკის გემო არ მიეცეს. უნდა ურიონ სულ. როდესაც ეს მოიხარშება და რბილი შეიქნება, ამას გასწურვენ წმინდა ტილოში, ჩაასხმენ სხვა ქვაბში და ხარშვენ და ბოხდიან ქაფსა,—შემდგომ მცირედის ხანისა ეს წვენი შესქელდება, მზგავსად თაფლისა მაშინ გააცივებენ ჩაასხმენ ქოთნებში, ან ბოთლებში, რომელსაც დაუცმენ მაგრა და ცივ ალაგს დადგმენ.—

ეს გოგრის წვენი დიდხანს ინახება და საჭმელში იხმარება, სადაც საჭირო არის თაფლი და შაქარი.

---

## პარიჟის გამოფენა 1867 წლის.

### წიგნი IV.

თუ გვინდოდა შეგვეტყო ბაღების მშვენიერად გამართვა, უნდა გვენახა საკუთრად გამართული ბაღი საქვეყნო გამოფენის სიახლოვესა. ამ ბაღში სრულებით აღარ იყო ფრანციული რიგი ბაღების გამართვისა, რომელსაც მისდევდა მთელი ევროპა; არ იყვნენ ხეები დაკვეცილნი, დავარცხნილნი და პომადა წასმულნი; გზები განიერად და სწორედ გამართულნი, რომელზედაც, თუმცა ერთხელ გაივლიდი, მაგრამ ისიც უსიამოვნოდ. ფრანციული ბაღები ყოველთვის იმართებოდნენ სწორე ადგილზედ, სწორე გზებითა, რომლების პირი-პირ მისდევდა ძეგლები. შემსვლელი ხედავდა ყველგან ერთსა და იმავესა და ამიტომ მალე სწყინდებოდა. სრულებით, სხვა ხასიათისა იყო ბაღი საკუთარი (**запасный садъ**), რომელიც იყო გამართული ანგლიის გემოზე. ანგლიაში ბაღებს აკეთებენ ისე, რომ რაც შეიძლებოდეს მომატებულად დაამსგავსონ ბუნებასა; გააკეთონ გორები, მრუდი გზები, ხევები, ღელეები ბაღში. ძიდეც ამიტომ ანგლიურს ბაღში რომ შესდიხართ, ყოველს ნაბიჯ ახალსა და ახალს საგნების ნახვით ერთობით და აღარ გინდათ გამოსვლა.

მაგრამ ეს ბაღი, რომელსაც ყოველი მნახველი აფასებდა ექვს მილლიონ ფრანკათ, როგორ გააკეთა გამოფენის კამისიამ სამას ათას ფრანკათ— ეს არის გასაკვირველი! მგონია ეს ფასი კიდეც აილო კამისიამ მნახველებისაგან. როგორ შეიძლო გამოფენის კამისიამ ასე ცოტას ხარჯით გამართვა ამგვარის საკვირველებისა? აი როგორ: ბაღის გამართვა შეკვეთილი ჰქონდა პარიჟის ბაღების დირეკტორს ბერილეს, რომელსაც უთხრეს ან გააკეთოს ბაღი ძალიან იაფად, ან თავი დაანებოსო თავის თანამდებობასა. ბერილე იღებდა 50,000 ფრანკს ჯამაგირს და ამიტომ ძნელი იყო ამისი თავის დანებება; არც თუ თავი შეირცხვინა. იმან მოიწვია პარიჟისა და ახლო ადგილების მებაღეები, ბაღების ამშენებელნი, და გამოართო პირობა ბაღის გამართვისა თავიანთის ბაღების ავეჯულობისაგან. უველანი დათანხმდნენ, მხოლოდ ამ პირობით, რომ იმათი სახელები იყვნენ დაწერილნი ნივთებზედა საქვეყნო გამოფენის ბაღში. ამ გვარად აშენდა საკუთარი გამოფენის ბაღი.

თბილ ბაღების გამკეთებლებმა გააკეთეს თბილი ბაღები; კიოსკებისა და ხიდების გამკეთებლებმა გააკეთეს კიოსკები და ხიდები; მებაღებმა მოიტანეს ყვავილები; ამგვარადვე ყველამ თავის მხრიდგან გააკეთა წყლის ნაპირები და ძირები კლდიანი ქვებითა, ტბებს და ბაღს შემოავლეს მშვენიერი რკინის მოაჯარი. ბაღში ამოსთხარეს ღელეები, აამაღლეს გორები, გამოიყვანეს წყალი, დარგეს სხვა და სხვა ნაირი ყვავილები და ძველი დიდრონი ხეები; ააშენეს ოცდა ათამდინ ბესედკები, წვრილი სახლები, პავილონები და სხ. ორ თვეზედ, ჩვენს თვალწინ, რაღაც ულაზათო მარსის მინდორი 15 დღის მიწა, გახადეს ნიმდვილს საკვირველებადა.

ბაღის შუა გულში, ზედ ტბის პირას, სდგას ხელოვნებითა ტინი, რომელსაც გარშემო უდგას ყოველთვის მწვანიანი ჯაგნარები; ტინიდგანა სცემს შადრევანი. ამის ახლოს გამართულია ზღვისა და მდინარის წყლისა აკვარიუმები. მდინარის წყლის აკვარიუმში ყრიან სხვა და სხვა წყლის პირუტყვები და თევზები: გოჭა, კარპი, ქორჯილა, ლინა, კამბალები, კალმახები, გველთევზები, ოქროს ფერი თევზები, ქარიყლაპია, ლოქო, საჭმელი ბაყაყები, ლოკოკინა და კუ.

თაიგულის ბაღჩები დანიშნული იყო ყვავილების გამოსაფენად; აქ თაიგულებსაცა ყიდიან. თაიგულის ფასი აქ იყო 5 დგან 250 ფრანკამდინ. პირველი თაიგულის გამკეთებელი გამოფენაში იყო ლიონი, რომელსაც ყვავილები მოსდის ბენუიდგან და ნიციდგან პარიჟში თითქმის მთელი წელიწადი. თაიგულების და გვირგვინის გაკეთებაში პირველი ხელოვნება იმაში სდგას, რომ კარგათ შეუფარდოს ყვავილები, ცოტა ყვავილი იხმაროს და ერთმანეთ ძალიან არ მიაკრას, რომ არ დაიჭყლიტოს და ერთმანერთი არ დამალონ. ამ ყოველსავე ხელოვნებას პარიჟელები კარგათ ასრულებენ, მაგრამ მაინც გაუგებელია ამგვარი იმათი სიძვირე. უფ. შარლე და ძირილე ემელიანოვი ტფილისში მოგყიდიან სამ მანეთად თაიგულსა, რომელიც პარიჟის თაიგულზედ ნაკლები არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრით არ იქმნება; ეს კი არის, რომ ტფილისს თაითულს კუწუბიანს ქაღალდში შეხვეული არ იქმნება.

ორს უკანასკნელს ბაღის მოსავლის კონკურსებზედ გულის ხმა მიიპყრეს: ადრეული მცენარეებმა კლერმონტის საზოგადოების წარმომდგენელებმა—სატაცურმა და ინაშ. ბძელძირკვა ბევრი ტოტებიანმა, ჩინეთის ინამ უფ. ლეროას ბაღში მიელო კვერცხის ფორმა და სივრცეც მომატებოდა (40 სანტიმეტრი სიგძე და 25 სისქე).

ხილეულთაგან შესანიშნავი იყვნენ შენახული ვაშლი და მსხალი ბელგიის საზოგადოებიდგან გამოგზავნილი; შემდეგ მსხალი ვაშლი, ყურძენი, გარგარი, ატამი და საკვირველად სხვილი მარწყვი წარმოდგენილი უფ. ჟერესაგან. მერე ყველამ ისიამოვნეს კარგი შენახული ყურძნითა, რომელიც ახალ მოწყვეტილსა ჰგვანდა. ამ გვარად ყურძნის შენახვისთვის, ყურძენსა სწყვეტენ რქითა დასდებენ წყალში, რომელშიაც ცოტა ნახშირიცა ყრია.

ჰარლემის გიაცინტებმა ყველას აჯობეს. ყველამ იცის, რომ ჰოლლანდიაში ძალიან ცდილობდნენ ამ მცენარის გასაუკეთესებლად. წარსული საუკუნოს ბოლოს ძალიან სწყალობდნენ გიაცინტსა, რომელშიაც ზოგი თითო თავში აძლევდნენ 1000 ფრანკამდინ. ახლა რაგინდა კარგი გიაცინტი იყოს ოცდა ხუთსა და ოცდა ათს ფრანკზედ მეტს არ აძლევენ.

## წ ი გ ნ ი V.

ჩვენ ვიყავით პუასში, სადაც იყო დანიშნული რქიანი საქონლის შეფარდება. პუასი პარიჟიდგან 25 ვერსზედ არის. ეს ქალაქი არის შესანიშნავი იმითა, რომ აქ ყოველ კვირა მოუდით ყოველი მხრიდგან საქონელი გასასყიდათ, რომლისთვისაც გამართულია ერთი დიდი მეიდანი.

პუასის მეიდანი წარმოადგენს გრძელს ოთხს კუთხსა ადგილსა. ამ ადგილს ყოველის მხრიდგან არტყია სახლები, რომლებშიაც, გამართულია ტრახტირები და სამიკიტნოები. ყოველს სახლს წინ არის ფარდული საქონლის შესაფარებლად. მეიდნის ზემო მხარე დანიშნულია ხბორებისა და ცხვრის დასაყენებლად,—ქვემოთი ფურისა და ხარისათვის შუაგულში ამოდის ორი შადრევანი, რომლის სიახლოვეს არის გამართული სასწორი საქონლის ასაწონათა.

პირველნი მოქმედნი პირნი მეიდნისა არიან: ჩოდარი, მწყემსი და ძაღლი.

მემცხვრის ძაღლს, რომელიც უვლის საქონელსა, თითქმის ყველაზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა მოხსენებულ პირთა. ტანად მუათანა არის; თავი გამწვეტებული აქვს ყურები მოკლე და სწორე აქვს; კუდი, არიიცი რათა, ძირში აქვს მოჭრილი; ბეწვი ხუჭუჭი და ხშირი, მხოლოდ ცხვირი და ფეხები კი თითქმის ტიტველა აქვს. აქ მომატებული ნაწილი მემცხვრის ძაღლები ჩვენა ვნახეთ შავი ფერისა; მხოლოდ ერთი კი იყო ჩვენი მწყემსის ძაღლის მსგავსი—ნაცრის ფერი. უკეთესი ძაღლები ჩნდებიან ბრიდში. ისინი ღონიერები კი არ არიან, მაგრამ ყოჩაღები, პატრონის ერთგულები და საქონლის მომვლელები ძალიან არიან. მწყემსნი, რადგანაც სულ ცის ქვეშ ატარებდნენ დროსა, ამიტომ მსმელნი არიან; ამ დროს ძაღლი, თითქო იცის რა ამბავიაო, მარტოკა უვლის და ერეკება საქონელსა. არას დროს ძაღლი არ უკბენს საქონელსა, რომელიც ვერ დადის კარგად. როდესაც საჭიროა მთელს ჯოგს დააყენებს, უვლის გარსა, დარბის სწედ ბა დარჩომილს ძროხას ყურზე, კანჭზე და შეაგდებს ჯოგში; ეს ყოველი მწყემსის ერთის თვალის დახამხამებითა, და ხან თავისის საკუთარი გონებითა. ყველაზე კარგ ჯინსისად ითვლება ისა, რომელისაც რამდენიმე მთამამაელობა ემსახურება ჩოდრობაში. სამსახური იმისი იწყება ცხრის თვიდგან და თავდება მეცხრე ანუ მეათე წელიწადზედ. ერთი ძაღლი კარგა უვლის ას ცხვარსა, ანუ ოცს ხარსა. მაგრამ რადგანაც ამ გვარი სამსახური ძალიან ძნელია, ამიტომ მწყემსები ინახვენ მომატებით, ასე რომ ორმოცამდე ძროხაზედ სამი ძაღლი მაინცა ჰყავთ. ძაღლებს აჭმევენ არჟანოვსა, შვრიასა ანუ ქერის პურსა, რომელსაც ამათთვის აცხობენ ცალკე. ხორცს არ აჭმევენ ძაღლებს, მხოლოდ ხანდისხან მიუგდებენ ხოლმე ცოტა ცხენის ლეშსა. ეს საჭიროა, იტყვიან ხოლმე, როგორც ტანის სამრთელის საშუალებაო. ფასი ძაღლისა არის დამოკიდებული სიკეთეზედ, ტანზედ და წლოვანობაზედ. ერთს წყვილსა კარგა მიჩვეულს მწყემსის ძაღლებში ხანდისხან აძლევენ 150 დგან 180 ფრანკამდინ. საერთო ფასი ლეკვისა არის მიღებული 10 ფრანკი, და მიჩვეულს გაზდილი ლეკვის 30 და 40 ფრანკი.

მწყემსები თითქმის სულ გრიელები არიან. ესენი ატარებენ შრომის ცხოვრებასა: წელიწადში უფრო ბევრს დროს ატარებენ გარეთა, რაგინდ ცუდი ამინდი იყოს; არ დახედავენ არც წვიმას, არც ლაფს, თოვლ, ყინვას და სეტყვას. ქვირის ნამუშავარი არის დამოკიდებული საქონლის რიცხვზედ, რომელსაც უვლის, ასე რომ ზოგსა აქვს 25, ზოგს 40 ფრანკი გარდა ამისა ნახევარს მიიღებს საჩუქარს ხან ჩოდრისაგან და ხან მსყიდავისაგან. ეს კარგი ფასია გლეხი კაცისათვის, მაგრამ თანამდებობაც ძნელი აქვს; ხანდისხან დანაკარგს არ უზღავს ხოლმე პატრონსა. სჭამენ კარგა, მაძღრივ; სუფრაზე დიდხანსა სხედან და სმენ, ასე რომ ზოგს სიმთვრალე შეგვიძლიან დავაყვედროთ და ცუდი ყოფაქცევა. მაგრამ ეს იმათ მიეტევებათ, ამიტომ რომ ყოველთვის საქონლის საზოგადოებაში სცხოვრებენ. ყოველ მწყემსს ჰყავს თავისი ძაღლი, ზოგს ორი და სამი. მწყემსებს შაგირდებიც ჰყავს 14—16 ის წლის ბიჭები.

საქონლით მოვაჭრენი კარგა შეძლებული ხალხია. ზოგს იმათგანს ჰყავთ 500, 600 სული საქონელი, ასე რომ ყოველთვის აქვსთ ვაჭრობაში სამიათასიდამ ოთხათას ფრანკამდინ. ამ გვარ მოვაჭრეებს ადვილად იცნობს კაცი მეიდანზედ: ძალიან სქელია, ანუ სრული მაინცა, ლოყები ჩამოყრილი აქვს, სახის გამოთქმულება კმაყოფილებისა; იმას ყველა თავს უკრავს, ყველა გამარჯვებას ეუბნება. მეიდანზე მოდის კალასკითა, რომელიც პარიჟში მოდიდგან არის გასული; ორი კარგი ცხენი უბიათ ეჟვნებითა და აღვირები მელის კუდით მორთული. რასაკვირველია ამ გვარი კაპიტალისტები ბევრნი არ არიან.

სახოცს საქონელს ასუქებენ მომატებულად ნორმანდიაში საკუთარი ფერმერები, რომელთაც ეძახიან მობალახეებსა, ე. ი. რომლებსაც სამოვრები უჭირავთ ქირითა და ასუქებენ საქონელსა, ნორმანდიელთ მობალახეებს აქვს, ანუ საკუთარი პატარა ზვარი საკუთარი სახოცის საქონლისა, და ანუ სყიდულობენ ახალგაზდა საქონელსა, ასუქებენ და იქვე ჰყიდიან. იმათი დიდი ვაჭრობა არის ივნისიდგან დეკემბრამდინ. მობალახეები არ იძვრიან ადგილიდგანა—ჩოდრების მოჯამაგირეები მოდიან იმასთანა საქონლისათვისა. შემდეგ ესენი ადებენ დაღსა და აბარებენ მწყემსსა, რომელიც ერეკება რკინის გზის ოთახებში და ღამის გზით მიჰყავთ პუასოში ანუ პარიჟში. ამ გვარადვე საქონელი გასასყიდათ თითქმის ყოველი დეპარტამენტიდგან. ეს არის მიზეზი, რომ პარიჟში ყოველთვის საქონელი ბლომათ არის და ხორცსაც მთელი წელიწადი აძევს თითქმის ერთი ფასი გამოუცვლელად.

ცხვარს თითონ პატრონებივე ერეკებიან ქალაქებში გასასყიდათ უჩოდროთ. პუასოს მეიდანზე მოსწონთ უფრო გერმანიის ცხვრები. უკეთესი ღორი მოდის ლოტარინგიდგან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го октября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.